საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 57 57-06-4-201811081033
08/11/2018

დადგენილება N57
2018 წლის 7 ნოემბერი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს N41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 07/08/2018 სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016361) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-2 მუხლის ,,ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ნ) პარკირების საფასური – არის ამ წესის შესაბამისად (A,B,C) ზონების მიხედვით განსაზღვრული პარკირების ადგილით სარგებლობისათვის დადგენილი საფასურის ოდენობა“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,11. პარკირების ადგილები და ზონები განისაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მერია ვალდებულია უზრუნველყოს მისი საჯაროობა, ასევე მისი პროაქტიულად გამოქვეყნება“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. წინამდებარე წესის/პირობების დარღვევით ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისას (მათ შორის, პარკირების საფასურის გადახდის გარეშე დგომა) დამრღვევს დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4]-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო